განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა
ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18.01.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19.02.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA); არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	20442941
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის მაგისტრი 1109
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ხერხეულიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ყაველაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დემეტრე ეგნატაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ გარსევანიშვილი (სტუდენტი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლის ფარგლებში. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საჯარო მმართველობის მაგისტრი (1109). აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის გარდა, მმართველობის სკოლის ფარგლებში მოქმედებს ორი (2) სამაგსტრო პროგრამა, რომლებიც კურსდამთავრებულს საჯარო მმართველის კვალიფიკაციას ანიჭებს: 1) საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა და 2) საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა. აღნიშნული პროგრამების კურიკულუმები განსხვავდება სპეციპიკის მიხედვით. საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი ფოკუსირებულია საჯარო ადმინისტრირების მმართველობით საკითხებზე, საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა მეტად ორიენტირებულია საჯარო პოლიტიკის შინაარსობრივ მხარეზე, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა აქცენტს აკეთებს ადგილობრივი თვითმმართველობის თავისებურებებზე.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომლებიც ორი წლის მანძილზე, ოთხ აკადემიური სემესტრზეა გადანაწილებული.

სწავლების პირველ ეტაპზე (I და II სემესტრი) პროგრამით გათვალისწინებულია ისეთი საგნების მიწოდება, რომლებიც საჯარო ადმინისტრირების მულტიდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, პროფესიის სხვადასხვა განზომილებაში სისტემური ცოდნის შეძენასა და უნარჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. ამ ეტაპზე სტუდენტები შეისწავლიან ადგილობრივი თვითმმართველობის თავისებურებებს, სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლებსა და რელევანტურ საკითხებს, სტატისტიკასა და კვლევის მეთოდებს.

სწავლების შემდეგ ეტაპზე (III და IV სემესტრი) პროგრამა ორიენტირებულია უფრო ვიწრო სპეციფიკის საგნების მიწოდებაზე, რომლებიც სტუდენტებს უფრო სიღრმისეულად ჩაახედებს სპეციალობის თავისებურებეში. აღნიშნულ ეტაპზე სტუდენტები შეისწავლიან პოლიტიკის ანალიზს, ქალაქის პოლიტიკასა და კულტურული მემკვიდრეობის თავისებურებებს, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სერვისების სპეციფიკას და აშ. ასევე, ბოლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტები მუშაობენ მათთვის საინტერესო თემებზე, რომლებსაც წარმოადგენენ სამაგისტრო ნაშრომების სახით.

თითოეული კურსისთვის შერჩეულია სწავლის რელევანტური მეთოდები (ლექციები, სემინარები, პრეზენტაციები) რომელთა დიდი ნაწილი მაქსიმალურად ინტერაქტიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. პროგრამის კომპონენტების

შინაარსი, სწავლების მეთოდები და მიზნები ურთიერთშესაბამისია და ლოგიკურად ებმის ერთმანეთს.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მმართველობის სკოლის ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის შესაფასებლად განხორციელდა ა.წ. 18 იანვარს.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით. განხორციელდა შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავებულებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ელექტრონული ბაზა და შიდა მოხმარების ელექტრონული სისტემა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია პროგრამული აკრედიტაციის პირველი (I) სტანდარტის 1.1, 1.2 და 1.5 კომპონენტთან და მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება 1.2 და 1.3 კომპონენტებს. პროგრამის ცალკეული კომპონენტების ერთობლიობა ფაქტობრივად, უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას თუმცა, პროგრამის სრულყოფისთვის რეკმენდებულია სტრუქტურული ცვლილებები და დასახვეწია ცალკეული კომპონენტები (კურსის შინაარსი, შედეგები, ლიტერატურა).

პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის მეორე (II) და მესამე (III) სტანდარტის ყველა კომპონენტთან და მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მეოთხე (IV) სტანდარტის 4.4 კომპონენტს, რომელიც სასწავლო მასალის პროგრამის შედეგებთან რელევანტურობას მოიაზრებს. პროგრამა ასევე შესაბამისობაშია აკრედიტაციის მეხუთე (V) სტანდარტთან.

საერთო ჯამში, ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის ყველა კომპონენტთან გარდა სამისა (1.2, 1.3 და 4.4), რომელთაც ნაწილობრივ შეესაბამება. შესაბამისად, მთლიანობაში პროგრამა შესაბამისობაშია ხუთიდან (5) ოთხ (4) სტანდარტთან (სტანდარტი II, III, IV და V) და ნაწილობრივ შესაბამისობაში ერთ (1) სტანდარტთან (სტანდარტი I).

რეკომენდაციები

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ორი სახის, 1) პროგრამის სტრუქტურასთან და 2) ცალკეული სასწავლო კურსების გამართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

პროგრამის სტუქტურულ გამართვასან დაკავშირებული რეკომენდაციები:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა **საჯარო მმართველობის მაგისტრი,** თუმცა სავალდებულო საგნების ბლოკში არ არის წარმოდგენილი საჯარო ადმინისტრირების კურსი, რომელიც მასშტაბურად წარმოაჩენს საჯარო ადმინისტრირების მმართველობით, პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ სოციალურ ასპექტებს. შესაბამისად, რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკს დაემატოს "საჯარო ადმინისტრირების" კურსი, რომელიც სტუდენტებს მისცემს როგორც სისტემურ ცოდნას სახელმწიფოს მოწყობის, საჯარო სექტორის ფუნქციონირებისა და საჯარო პოლიტიკის პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ, ასევე შეასწავლის ადმინისტრაციული რეფორმების საუკეთესო ფრაქტიკას სხვადასხვა წარმატებული ქვეყნების მაგალითზე (იხ. სტანდარტი 1.3)

2. პროგრამაში სავალდებულოდ არის წარმოდგენილი სამი ინგლისური ენის კურსი (ინგლისური ენა I, ინგლისური ენა II და ინგლისური ენა III). თითო კურსი მოიცავს 5 კრედიტს, ანუ საერთო ჯამში ინგლისური ენის კურსები 15 კრედიტს უტოლდება. რეკომენდებულია პროგრამაში გათვალისწინებული ინგლისური ენის სავალდებულო კურსების გადატანა არჩევითი საგნების ბლოკში, რაც სტუდენტებს, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, საშუალებას მისცემს გამოთავისუფლებული კრედიტები გამიყენონ სხვა, მათთვის საინტერესო დარგობრივი ცოდნისა და კომპეტენციების შესაძენად (იხ. სტანდარტი 1.3)

პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

1. პოლიტიკის ანალიზის კურსი შინაარსის მიხედვით სტუდენტებს გამოუმუშავებს ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც ან არ არის აღწერილი სილაბუსის შედეგების ნაწილში ან არასათანადოდ არის ფორმულირებული, რაც იწვევს ნაწილობრივ შეუსაბამობას მაგისტრატურის საფეხურის აღმწერთან. შესაბამისად რეკომენდებებულია, სილაბუსის რედაქტირება ფორმულირების თვალსაზრისით (იხ. სტანდარტი 1.2).

2. საგანში "სამართლის საფუძვლები", რომელიც პროგრამით შემოთავაზებულია პირველ სემესტრში და მიზნად ისახავს სტუდენტების მიერ სამართლის ძირითადი პრინციპების შესწავლასა და სამართლებრივ აქტებთან მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას

გამოიყენება მოძველებული ლიტერატურა. რეკომენდირებულია აღნიშნულ საგანში ლიტერატურის განახლება (იხ. სტანდარტი 1.2).

3. საგანში "ეკონომიკის პრინციპები", რომელიც პროგრამის სავალდებულო საგანია და შემოთავაზებულია პირველ სემესტრში, ძირითად სახელმძღვანელოდ წარმოადგენილია გრეგორი მენქიუს "ეკონომიკის საფუძვლები", რომელიც ძირითადად ბაკალავრიატის საფეხურზე გამოიყენება. სასურველია ეკონომიკის საფუძვლების სილაბუსის გაღრმავება სხვა ქართულ ენაზე ნათარგმნი სახელმძღვანელოებით, მაგალითად ბლანშარის "მაკროეკონომიკა". (იხ. სტანდარტი 1.2).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკის გამდიდრება და გამრავალფეროვნება საჯარო ადმინისტრირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რელევანტური საგნებით.
2. პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, დაცულ იქნეს წონასწორობა ძირითად და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს შორის. ეს შენიშვნა არსებითია და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას, განსაკუთრებით, იურიდიულ საგნებთან და ასევე, იმ საგნებთან მიმართებით, რომლებშიც აქტიურია სამართლის კომპონენტი.
3. სასურველია ცალკე გაიწეროს თითოეული პროგრამის კონტრიბუცია უნივერსიტეტის საერთო ხარჯების დასაფარავად.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

აღსანიშნავია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აქტივობა საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა სტატიათა კრებული ინგლისურ ენაზე "Ongoing Issues in Georgian Public Policy Administration". კრებული გამოცემულია 2017 წელს ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) Westphalia Press-ის მიერ. კრებულში სტატიების ავტორი და თანაავტორია პროგრამაში მონაწილე 7 აკადემიური პერსონალი.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საჯარო ფინანსების უცხო ენაზე დაწერილი სახელმძღვანელო თარგმნილია და გამოცემულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია: "ადგილობრივი საჯარო მოხელეების, მენეჯერების, თემის ლიდერების ჩამოყალიბება კვალიფიციურ სპეციალისტებად, რათა მათ შეძლონ ეფექტური მუშაობა როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური მმართველობის ორგანოებსა და არასამთავრობო სექტორში. ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, ამიტომ ქვეყნის განვითარებისათვის თვითმმართველი ერთეულების ეფექტური ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია. პროგრამის მრავალფეროვანი კურიკულუმი უზრუნველყოფს კურსის მონაწილეების აღჭურვას იმ საჭირო უნარ-თვისებებით, რომელიც აუცილებელია ეფექტური გადაწყვეტილების მიღების, არსებული რესურსების სწორად მართვისა და დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობისათვის". მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული. ხაზგასმულია პროგრამის ორიენტაცია ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით, ასევე თვითმმართველი ერთეულების ეფექტური ფუნქციონირების როლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში. შესაბამისად პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რაც "უმაღლესი და პროფეიუსლი განათლების და აკადემიური კვლევის" მაღალი სტანდარტის დამკვიდრებით "ქვეყნის დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას" წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს საჯარო მმართველობის, საჯარო პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამების განხორციელების ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა ფუნქციონირებს 2005 წლიდან, პროგრამის მიზნები მიღწევადია და პასუხობს აღნიშნული მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მისია • თვითშეფასების ანგარიში

- წესდება
- ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგსტრო პროგრამის კურიკულუმი;
- სილაბუსები
- შრომის ბაზრის კვლევა
- შრომის ბაზრის ანგარიში

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადგილობრივი თვითმმრთველობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს საგნების თანმიმდევრულ მიწოდებას შინაარსისა და სირთულის მიხედვით, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას.

პროგრამის ცალკეული კომპონენტების (სასწავლო კურსებისა თუ სხვა კომპონენტების) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და შესაბამისი კრედიტების მოცულობის ჩათვლით, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტები დასახვეწია, მაგალითად ზოგიერთი კურსის შინაარსი, ძირითადი ლიტერატურა და კურსის შედეგები, რამაც განაპირობა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების შემოთავაზება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა/კურიკულუმი
- სილაბუსები
- პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრა

რეკომენდაციები:

1. პოლიტიკის ანალიზის სილაბუსში აღწერილი შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაბამისობაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის აღმწერის სტანდარტთან. კურსის შედეგებში მოცემულია, რომ კურსდამთავრბულებს "შეექმნებათ წარმოდგენა საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლების შესახებ", რაც აღმწერის მიხედვით საბაკალავრო საფეხურის კომპეტენციაა. ასევე, დარგობრივი კომპეტენციების ნაწილში ასახული შედეგები არ არის რელევანტური იმ კომპეტენციებისა, რომელიც კურსის შინაარსის მიხედვით რეალურად გამოუმუშავდებათ კურსდამთავრებულებს. მაგალითად, კურსის განმავლობაში, სტუდნტები მუშაობენ პოლიტიკის ანალიზისა და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშვების ყველა სტანდარტულ ეტაპზე, რაც მათ გამოუმუშავებს პრაქტიკაში პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების უნარს. თუმცა აღნიშნული კომპეტენცია არ არის აღწერილი კურსის დარგობრივი კომპეტენციების ნაწილში. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპების ცოდნა და დოკუმენტის შემუშავების უნარი საჯარო მმართველობის კვალიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპეტენციაა, რომელსაც წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს, თუმცა არ არის სათანადოდ აღწერილი სილაბუსის კომპეტენციის ნაწილში.

   როგორც უკვე აღინიშნა წარმოდგენილი საკითხი არ არის შინაარსობრივი ხასიათის და უკავშირდება სილაბუსის შედეგების ნაწილის არასწორ ფორმულირებას, რაც თავის მხრივ იწვევს ნაწილობრივ შეუსაბამობას მაგისტრატურის საფეხურის აღმწერთან. შესაბამისად რეკომენდებებულია, სილაბუსის რედაქტირება ფორმულირების თვალსაზრისით.

2. საგანში „სამართლის საფუძვლები", რომელიც პროგრამით შემოთავაზებულია პირველ სემესტრში და მიზნად ისახავს სტუდენტების მიერ სამართლის ძირითადი პრინციპების შესწავლასა და სამართლებრივ აქტებთან მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, გამოიყენება გასაახლებელი ლიტერატურა, კერძოდ, „სამართლის თეორია", (გ. ხუბუა), 2004, და „კონსტიტუციური სამართალი", (ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე), 2011. როგორც ხუბუას, ისე დემეტრაშვილი-კობახიძის სახელმძღვანელო მითითებული წლის შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა, შესაბამისად, რეკომენდირებულია აღნიშნულ საგანში ლიტერატურის განახლება. ეს შენიშვნა, განსაკუთრებით, შეეხება მეორე მათგანს, რომელიც გამოცემულია არსებითი ცვლილებებით (1, 2) და როგორც კურსის ხელმძღვანელთან სატელეფონო საუბრიდან გამოირკვა, იგი არ იყო ინფორმირებული ამ სიახლის შესახებ.

3. საგანში "ეკონომიკის პრინციპები", რომელიც პროგრამის სავალდებულო საგანია და შემოთავაზებულია პირველ სემესტრში, ძირითად სახელმძღვანელოდ წარმოდგენილია გრეგორი მენქიუს "ეკონომიკის საფუძვლები", რომელიც ძირითადად ბაკალავრიატის საფეხურზე გამოიყენება. შესაბამისად, სასურველია ეკონომიკის საფუძვლების სილაბუსის

გაღრმავება სხვა ქართულ ენაზე ნათარგმნი სახელმძღვანელოებით, მაგალითად ბლანშარის "მაკროეკონომიკა".
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია 120 კრედიტი (1 კრედიტი = 25 ასტრონომიული საათი). აქედან, ძირითადი საგნების ბლოკი მოიცავს 105 კრედიტს, ხოლო დანარჩენი 15 კრედიტის აღების საშუალებას პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკი იძლევა. სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენა სავალდებულოა და ეთმობა 20 კრედიტი. პროგრამის ცალკეული კომპონენტები ლოგიკურად არის დაკავშირებული. კურიკულუმის სტრუქტურა უზრუნველყოფს საგნების თანმიმდევრულ მიწოდებას შინაარსისა და სირთულის მიხედვით. სწავლების საწყის ეტაპზე (პირველი აკადემიური წელი) პროგრამით გათვალისწინებულია ისეთი კურსების მიწოდება, რომლებიც ემსახურება სისტემური ცოდნის მიღებასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას საჯარო ადმინისტრირების სფეროს მულტიდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, რაც სტუდენტებს მომდევნო მასალის უკეთ ათვისებაში დაეხმარებათ. პირველი აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალური სერვისების თავისებურებებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესში გამოწვევებს, სამართლის საფუძვლებსა და მუნიციპალურ სამართალს, ეკონომიკის პრინციპებსა და სტატისტიკას. მეორე აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამა ორიენტირებულია უფრო ვიწრო სპეციფიკის მქონე საგნების მიწოდებაზე, რომლებიც სტუდენტებს უფრო ღრმად ჩაახედებს სპეციალობის თავისებურებებში, განუვითარებს საჯარო ადმინისტრირების პროფესიულ აზროვნებას და

გამოუმუშავებს კონკრეტულ დარგობრივ უნარ-ჩვევებს. აღნიშნულ ეტაპზე სტუდენტები შეისწავლიან საჯარო პოლიტიკის ანალიზს, ქალაქის პოლიტიკისა და კულტურული მემკვიდრეობის თავისებურებებს, საჯარო სექტორში პროექტების დაგეგმვისა და მართვის სპეციფიკას, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სერვისების სპეციფიკას. ასევე, ბოლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტები მუშაობენ მათთვის საინტერესო თემაზე, რომელსაც წარმოადგენენ სამაგისტრო ნაშრომის სახით. თითოეული კურსისთვის შერჩეულია შესაბამისი მეთოდები. მათი დიდი ნაწილი მაქსიმალურად ინტერაქციული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებულია. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, შესაძლებელია პროგრამის დახვეწა-გაუმჯობესება პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული მოდიფიკაციის შედეგად. კერძოდ, პროგრამაში სავალდებულოდ არის წარმოდგენილი არადარგობრივი კურსები ინგლისური ენაში, რაც არ წარმოადგენს საჯარო მმართველობის სპეციალიზაციის მიმართულებით ცოდნის შესაქმნელად ძირითად საგანს. ასევე, არჩევითი საგნების ბლოკი მწირია და შემოიფარგლება 7 საგნით. აღნიშნულიდან გამომდინარე გთავაზობთ შესაბამის რეკომენდაციებს და რჩევებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა ● ცალკეული კომპონენტების სილაბუსები ● პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრა
რეკომენდაციები: 1. ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა **საჯარო მმართველობის მაგისტრი.** მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი საგნები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკაზეა ორიენტირებული და სტუდენტს გამოუმუშავებს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, სავალდებულო საგნების ბლოკში არ არის წარმოდგენილი ისეთი კურსი, რომელიც საჯარო ადმინისტრირებისა და მართვის საკითხებს უფრო ფართოდ წარმოაჩენს საჯარო ადმინისტრიების მმართველობით, პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ სოციალურ კონტექსტში. შესაბამისად, რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკს დაემატოს "საჯარო ადმინისტრირების" საბაზისო კურსი, რომელიც სტუდენტებს მისცემს როგორც სისტემურ ცოდნას სახელმწიფოს მოწყობის, საჯარო სექტორის ფუნქციონირებისა და საჯარო პოლიტიკის პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ, ასევე შეასწავლის ადმინისტრაციული რეფორმების საუკეთესო

ფრაქტიკას სხვადასხვა წარმატებული ქვეყნების მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის კურსი - "საჯარო ადმინისტრირება და მენეჯმენტი" - შეთავაზებულია მმართველობის სკოლის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული კურსის გაზიარება ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვისაც.

2. პროგრამაში სავალდებულოდ არის წარმოდგენილი სამი ინგლისური ენის კურსი (ინგლისური ენა I, ინგლისური ენა II და ინგლისური ენა III). თითო კურსი მოიცავს 5 კრედიტს, ანუ საერთო ჯამში ინგლისური ენის კურსები 15 კრედიტს უტოლდება.

   აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის ცოდნა არ წარმოადგენს საჯარო მმართველობის პროფესიის განუყოფელ (სავალდებულო) კომპეტენციას. ამასთანავე, სტუდენტს, რომელიც შეიძლება საშუალო დონეზე ან კარგად ფლობდეს ინგლისურს, მაინც უწევს ინგლისური ენის კურსების გავლა მათი სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე.

   თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, ინგლისურის ცოდნა უაღრესად მნიშვნელოვანია საჯარო სექტორში, მითუმეტეს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დასაქმებულთათვის, რადგან ხშირად უწევთ ინგლისურენოვან დოკუმენტაციაზე მუშაობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ინგლისურენოვანი სამუშაო არხების გამოყენება.

   შესაბამისად რეკომენდებულია, რომ ინგლისური ენის კურსებს მოეხსნას სავალდებულო კურსის სტატუსი და გადაინაცვლოს არჩევითი საგნების ბლოკში. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას, აღნიშნული კრედიტები სხვა დარგობრივი, მათთვის საინტერესო კომპეტენიცების გასავითარებლად გამოიყენენონ (აირჩიონ სხვა დარგობრივი არჩევითი საგნები), ხოლო იმ სტუდენტებს, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურს, საშუალება ექნებათ სურვილის შემთხვევაში, გაიარონ სამივე დონის ინგლისური ენის კურსი, როგორც ეს წარმოდგენილ პროგრმაშია გათვალისწინებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკი მოიცავს სასარგებლო და საინტერესო კურსებს, როგორებიცაა "პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები", "არამომგებიანი და საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი", "საერთაშორისო განვითარება" და აშ., სასურველია არჩევითი საგნების ბლოკის გამრავალფეროვნება ისეთი დარგობრივი საგნების დამატებით, რომლებიც რელევანტური და საინტერესოა საჯარო მმართველობის სპეციალობისთვის. მაგალითად საჯარო მმართველობის პროგრამების არჩევით საგნებში ხშირად გვხვდება ისეთი

პრაქტიკული საგნები როგორებიცაა “საგრანტო განაცხადის წერა საჯარო სექტორში”, “საჯარო გამოსვლის ტექნიკა”, “სოციალური მეწარმეობა”, “საერთაშორისო ორგანიზაციები”, “ადმინისტრაციული ლიდერობა”, “პერსონალის მართვა საჯარო ორგანიზაციებში” და ა.შ. აღნიშნული საგნების ნაწილი წარმოდგენილია საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაშიც და შესაძლებელია მათი გაზიარება ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამისთვის არჩევითი საგნები ბლოკის გამრავალფეროვნების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ამზადებს სტუდენტებს საჯარო სექტორში, საჯარო სამსახურსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში საქმიანობისთვის. პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ პროგრამაზე ჩაბარების მსურველებს უკვე აქვთ თვითმმართველ ორგანოებში ან სხვადასხვა საჯარო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამას სწორედ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სპეციფიკური ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით უერთდებიან. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ასევე დამსაქმებლების მოსაზრება, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ უნიკალური ნიშა - მრავალმხრივი ცოდნა და შესაბამისად საკითხისა და პროცესის სხვადასხვა ჭრილში (მმართველობითი, ეკონომიკური, სამართლებრივი) დანახვისა და დაკავშირების უნარი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტულ დეპარტამენტებში (მაგ: პოლიტიკის დეპარტამენტში). ასევე, ძირითადად კურსდამთავრებულები კონკრეტული ქეისებისა და პროექტების მართვის საკითხებზე მუშაობენ და მათ წარმატებაში, პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტების უმეტესობა დასაქმებულია საჯარო სექტორში

თვითმმართველ ორგანოებში, ცენტრალური ხელისუფლებასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში. კურსის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომ სურვილის შემთხვევაში გააგრძელონ სწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე, სადოქტორო პროგრამაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები არიან, როგორც დასაქმების ასევე საგანმანათლებლო ბაზარზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1.2 და 1.3 კომპონენტებში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვნად გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას არა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით, არამედ ზოგადად საჯარო ადმინისტრირების სფეროში, რაც გულისხმობს როგორც საჯარო სამსახურს ასევე არასამთავრობო სექტორში საქმიანობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა/კურიკულუმი ● კურსდამთავრებულებთან გასაუბრება ● დამსაქმებლებთან გასაუბრება ● შრომის ბაზრის კვლევა
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და განხორციელებული შეხვედრებიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეულ პერსონალი, დამსაქმებლები და სტუდენტები

აქტიურად არიან ჩართული პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში. აკადემიური და მოწვეული პერსონალთან შეხვედრის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ მათი დიდი ნაწილი თავად საქმიანობს პრაქტიკაში და წარმოადგენს დამსაქმებელს. შესაბამისად, სხვადასხვა შეხვედრებისა თუ ფოკუს ჯგუფების ფორმატში მუდმივად ხდება მათი, როგორც დამსაქმებლის რეკომენდაციების გათვალისწინება პროგრამის განვითარების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ყოველი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ კურსის შინაარსსა და ლექტორის დამოკიდებულებას სპეციალური კითხვარი მეშვეობით, რაც კურსის მუდმივი განვითარების, გაუმჯობესებისა და დახვეწის ერთ-ერთი აპრობირებული წინაპირობაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების კითხვარი; • შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან • შეხვედრა დამსაქმებლებთან • შეხვედრა სტუდენტებთან
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის გავლის საფუძველზე. შიდა საუნივერსიტეტო პროცედურა აღწერილია პროგრამაში და მოიცავს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სააპლიკაციო ფორმის მიხედვით აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას და შიდა გასაუბრებას, რომელიც მიმართულია აპლიკანტის ცოდნისა და შესაბამისი უნარჩვევების შეფასებისკენ. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა და მათ შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gipa.ge
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა ● საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვებგვერდი ● თვითშეფასების ანგარიში ● ინტერვიუები
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოიყენება მრავალფეროვანი მიდგომები და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

სხვადასხვა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი, როგორებიცა ლექცია, სემინარი, ანალიტიკური რეფერატების მომზადება და წარდგენა, პრეზენტაცია, შემთხვევის ანალიზი, დამოუკიდებელი და გუნდური სამუშაოები, დებატები, სამაგსტრო ნაშრომზე მუშაობა და აშ. ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკულ კომპონენტზე. სწავლების მეთოდები გაწერილია პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგიტრო პროგრამა • კურიკულუმი • სილაბუსები • ინტერვიუები
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს საგნების თანმიმდევრულ მიწოდებას სირთულისა და შინაარსის მიხედვით, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. პროგრამის შემადგენელი კომპონენტები განაწილებულია სემესტრულად და აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. საწყის ეტაპზე შემოთავაზებულია საბაზისო ხასიათის საგნები სფეროს მულტიდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე (მაგ: ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები და მოსახლეობის თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ეკონომიკის პრინციპები; სამართლის საფუძვლები; პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები).

სწავლის მომდევნო ეტაპზე შემოთავაზებულია უფრო სპეციფიკური და კომპლექსური ხასიათის საგნები როგორებიცაა მუნიციპალური სერვისები, მუნიციპალური სამართალი, სტატისტიკა, კვლევის დიზაინი და მეთოდები, საჯარო პოლიტიკის ანალიზი და ა.შ. შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია, მითითებულია შესაბამისი კომპონენტების სილაბუსებში და შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანსა და შედეგს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადგილობრივი მმართველობის სამაგისტრო პროგრამა • სილაბუსები • შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანლელან და აკადემიურ პერსონალან
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შეფასების სისტემა შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა. კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის მიღების შემთხვევაში. დადებითი შეფასებებია: A ფრიადი - 91-100 ქულა B ძალიან კარგი - 81-90 ქულა C კარგი - 71-80 ქულა D დამაკმაყოფილებელი 61-70 E საკმარისი - 51-60 უარყოფითი შეფასებებია: FX 41-50 ქულა - ვერ ჩააბარა გადაბარების ან დამატებითი სამუშაოს შესრულების უფლებით F 0-40 ქულა - სტუდენტმა საგანში კრედიტის მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიროს.

თითოეულ საგანში სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია რამდენიმე კომპონენტიანი შეფასება და ლოგიკურად შეესაბამება კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას როგორც სასწავლო პროცესში (წერითი ნაშრომი, ზეპირი პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა, ტესტი, საკლასო აქტივობა/მონაწილეობა), ასევე კურსის დამთავრებისას - დასკვნითი გამოცდა. შეფასების კომპონენტები განსხვავდება კურსის სპეციფიკის მიხედვით და ნათლად არის აღწერილი თითოეული კურსის სილაბუსში დავალების რაოდენობის, თითოეული კომპონენტის წონისა და საბოლოო შეფასებაში აღნიშნული კომპონენტის წონის მითითებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა/კურიკულუმი ● სილაბუსები
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება წინასწარ დადგენილი, გამჭვირვალე კრიტერიუმებით, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სხვადასხვა სალექციო კურსში მოცემული ცალკეული დავალებისა თუ გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ნათლად არის განმარტებული თითოეული კურსის სილაბუსში და ლიგიკურად შეესაბამება დავალების/გამოცდის არსსა და სასწავლო კურსის მიზანს. ამასთან, თითოეული დავალების შემდეგ, ლექტორები კლასში განიხილავენ შეფასებასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს. წერითი დავალების შემთხვევაში,

სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ ლექტორის კომენტარებს და გაითვალისწინონ შენიშვნები შემდეგი დავალებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და პროგრამის განმახროციელებელ აკადემიურ პერსონალთან. პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად პროგრამის ადმინისტრაციული კოორდინატორია, აქტიურად მართავს შეხვედრებს სტუდენტებთან. საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციის თანამშრომლები ლექციების დაწყების წინ და/ან დასრულების შემდგომ ხვდებიან სტუდენტებს ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად, ისმენენ მათ მოსაზრებებს და შესაბამისად უწევენ დახმარებას. ასევე თითოეული კურსის სილაბუსში გაწერილია სტუდენტებისათვის განკუთვნილი საკონსულტაციო საათი. სტუდენტები სიახლეების შესახებ ინფორმაციას იღებენ ელექტრონული ფოსტისა და/ან LMB საუნივერსიტეტო ბაზის მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სილაბუსები ● ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრება ● აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ყოველი საგნის სილაბუსში, ლექტორს გამოყოფილი აქვს სტუდენტებისათვის საკონსულტაციო 1 საათი. თითოეული საგნის სილაბუსში მითითებულია აღნიშნული საკონსულტაციო საათის შესახებ. საკონსულტაციო საათების ჩატარების ვალდებულება აგრეთვე გაწერილია ლექტორთა ვალდებულების შესახებ რეგულაციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • რეგულაცია ლექტორთა ვალდებულების შესახებ • სილაბუსები • გასაუბრება ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან • გასაუბრება აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებში; როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა სტუდენტური პროექტებისათვის. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მერიის მიერ დაფინანსებული პროექტის შესახებ - „მომავალ საჯარო მოხელეთა სკოლა“, რომელიც შემუშავდა უნივერსიტეტის ინიციატივით; პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მმართველობის სკოლის სტუდენტებმაც მიიღეს. უნივერსიტეტის კვლევითი დეპარტამენტი განსახორციელებელი კვლევების შესახებ პერიოდულად აწვდის ინფორმაციას სუდენტებს და სურვილის შემთხვევაში მათ ეძლევათ

საშუალება ჩაერთონ კვლევებში. გარდა ამისა, სტუდენტებს, აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ლექტორების მიერ ინიცირებულ კვლევებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: --
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები გაცვლით პროგრამებში ნაკლებად იღებენ მონაწილეობას, რადგან: 1. აქვთ ინგლისური ენის ცოდნა პრობლემა. 2. მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია. პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის სწავლება მაგისტრანტებისთვის. უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკაა Guest Speaker -ების მოწვევა; მათ შორის არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუმრები. მაგალითისთვის: აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები, ნორვეგიის, შვეიცარიისა და თურქეთის ელჩები. ადმინისტრაციულმა პერსონალმა ორგანიზება გაუწია თბილისის მერობის კანდიდატებისა და სტუდენტების შეხვედრას. აღნიშნული ინიციატივა ეკუთვნოდათ თავად სტუდენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან • გასაუბრება ადგილობრივი თვითმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი განთავსებულია რამდენიმე შენობაში. კონკრეტულად ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის აქტივობა კონცენტრირებულია ერთ შენობაში, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ინსტიტუტის სათაო ოფისს. ეს შენობა არ წარმოადგენს ინსტიტუტის საკუთრებას და არის ნაქირავები. შენობაში გამართულად მუშაობს ინტერნეტი, არის ბიბლიოთეკა, გამართული აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია პროგრამით გათვალისწინებული საგნების თითქმის ყველა სახელმძღვანელო, თუმცა ზოგადად სასურველია ბიბლიოთეკის წიგნების ფონდის რაოდენობისა და ხარისხის გაუმჯობესება. უნივერსიტეტს აქვს ვებ-გვერდი სადაც განთავსებულია ინფორმაცია, სასწავლო პროცესის, პროგრამებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ. ინსტიტუტს აქვს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული ბაზა, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესის ძირითად ელემენტებს და მოიცავს სტუდენტთა და ლექტორების მონაცემებს.

ინსტიტუტის ღია სივრცეში ვერ მოვიძიეთ ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ადმინისტრაციის თქმით მათ ეს ინვენტარი შენახული აქვთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • შენობის დათვალიერება • ინტერვიუ
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე ასწავლის 5 ძირითადი და 14 მოწვეული ლექტორი, აქედან 5-ს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, 4 საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, 5-ე კი ინგლისური ენის სპეციალისტია. ვიზტისას წარმოდგენილი იყო აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში სტატიები. მათ შორის აღსანიშნავია სტატიათა კრებული ინგლისურ ენაზე “Ongoing Issues in Georgian Public Policy Administration” რომელიც გამოცემულია 2017 წელს ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) Westphalia Press-ის მიერ. კრებულში სტატიების ავტორი და თანაავტორია პროგრამაში მონაწილე 7 აკადემიური პერსონალი. აღსანიშნავია, რომ ისეთ საგნებს, რომლებშიც აქტიურია სამართლებრივი კომპონენტი, ხშირ შემთხვევაში, ასწავლიან იურიდიული კვალიფიკაციის არმქონე პედაგოგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტატიები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბიოგრაფიები და დიპლომები

რეკომენდაციები:--

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, დაცულ იქნეს წონასწორობა ძირითად და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს შორის. სასურველია ძირითადი პერსონალის გაძლიერება იურიდიული კვალიფიკაციის მქონე პერსონალით, რომელიც საერთო კურატორობას გაუწევს იურიდიული საგნებისა (მაგ: მუნიციპალური სამართალი) თუ არასამართლებრივ საგნებში (მაგ: "ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები" და "ქალაქის პოლიტიკა") შემავალი სამართლებრივი კომპონენტების შემუშავება/სწავლებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად სტატიების კრებულის გამოცემა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მმართველობით სკოლას, რომლის ნაწილია წარმოდგენილი პროგრამა, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ადმინისტრაციული პერსონალი. სკოლის ხელმძღვანელია დეკანი რომელიც პასუხისმგებელია პროგრამების განვითარებასა და მართვაზე. უშუალოდ პროგრამას ჰყავს საკუთარი ხელმძღვანელი. სკოლის სწავლების ხარისხის მართვას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროგრამის ფინანსების მართვას, შესყიდვებსა და ვებ გვერდის გამართულად მუშაობის უფრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრაციული კოორდინატორი. სკოლას ყავს კვალიფიცირებული ტექნიკური პერსონალი და დაცვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

• ინტერვიუები
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ზოგიერთ საგანში სწავლება მიმდინარეობს ძველი სახელმძღვანელოებით, თუმცა არსებობს იგივე სახელმძღვანელოების უფრო ახალი გამოცემები. მაგალითად, სამართლის საფუძვლებში გამოყენებულია მნიშვნელოვნად გასაახლებელი ლიტერატურა (იხ. რეკომენდაცია (2) კომპონენტი 1.2). აგრეთვე, საგანში "ეკონომიკის პრინციპები", რომელიც პროგრამის სავალდებულო საგანია და შემოთავაზებულია პირველ სემესტრში, ძირითად სახელმძღვანელოდ წარმოადგენილია გრეგორი მენქიუს "ეკონომიკის საფუძვლები", რომელიც ძირითადად ბაკალავრიატის საფეხურზე გამოიყენება (იხ. რეკომენდაცია (3), კომპონენტი 1.2).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები • ინტერვიუები ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები: • სამართლის საფუძვლების საგნისთვის სახელმძღვანელოთა განახლება • სასურველია ეკონომიკის საფუძვლების სილაბუსის გაღრმავება სხვა ქართულ ენაზე ნათარგმნი სახელმძღვანელოებით, მაგალითად ბლანშარის "მაკროეკონომიკა".
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- საჯარო ფინანსების უცხო ენაზე დაწერილი სახელმძღვანელო თარგმნილია და გამოცემულია საქართველოს საჯარო საქმეთა ინსტიტუტის მიერ.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა, სხვა 6 პროგრამასთან ერთად, შედის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლაში. ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის თანახმად ამ პროგრამის, ისევე როგორც სხვა პროგრამების, შემოსავლები აღემატება პროგრამასთან უშალოდ დაკავშირებული სწავლების ხარჯებს. დადებითი სხვაობა ხმარდება მმართველობითი სკოლისა და მთლიანად ინსტიტუტის საერთო ხარჯების დაფარვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მმართველობის სკოლისა და ცალკეული პროგრამების ბიუჯეტები
- ინტერვიუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ცალკე გაიწეროს თვითოეული პროგრამის კონტრიბუცია უნივერსიტეტის საერთო ხარჯების დასაფარავად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესისა და ხარისხის შეფასების, გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვლისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ცილკს. აღნიშნული პროცესის განსახორციელბლად შემუშავებულია უკუკავშირის სხვადასხვა მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და კურსდამთავრებულების - ჩართულობას პროგრამისა თუ სასწავლო პროცესის განვითარების პროცესში. მაგალითად, რეგულარულად ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა (Google Forms-ის ან ელექტრონული პლათფორმის ფორმატში) კურსის, ლექტორისა და სასწავლო მასალის შეფასება სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით. ყოველწლიურად ხდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამის გაუმჯობესებისა და მომავლ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, ლექტორთა საქმიანობის შეფასების მიზნით, პერიოდულად სკოლის ადმინისტრაცია ესწრება სასწავლო პროცესის დროს მიმდინარე ლექციებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა თუ გამოცდებს. აკადემიური და მოწვეულ პერსონალი, თავის მხრივ ჩართულია პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცეში. ყოველი კურსის დასრულების შემდეგ ლექტორი წერს ანგარიშს, რომელშიც ასახულია როგორც კურსის ზოგადი შეფასება, ასევე რამდენად იქნა მიღწეული კურსით გათვალისწინებული მიზნები.

შეხვედრების მსვლელობისას ასევე აღინიშნა, რომ კითხვარების, ფოკუს ჯგუფებისა და ანგარიშების გარდა, რაც უკუკავშირის ოფიციალურ წყაროს წარმოადგენს, სასწავლო პროცესისა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია არაფორმალურ, უშუალო საუბრებისას მიღებული ინფორმაცია. სკოლაში დამკვიდრებულია ღია და უშუალო გარემო, რაც ხელს უწყობს პროგრამებში თუ სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების დროულ გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ხარისხის შეფასების რეგულაცია ● ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან ● შრომის ბაზრის კვლევა ● შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ხორციელდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტების შიდა და გარე შეფასება. შეფასება ეხება ისეთ ასპექტებს როგორებიცაა: პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია; სასწავლო პროცესის განხორციელება;

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევა; სალექციო მასალისა და გამოცდების სილაბუსებთან შესაბამისობა; ლექციის მიმდინარეობის ხარისხი და აშ. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმების (ფოკუს ჯგუფები, პოტენციური დამსაქმებლების კვლევა/ფოკუს ჯგუფები, გამოკითხვები და ა.შ.) საშუალებით, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. გარე შეფასებას ახორციელებენ პოტენციური დამსაქმებლები და სფეროს ექსპერტები. პროგრამაში ასევე დიდწილად ასახულია პირველადი აკრედიტაციის რეკომენდაციები - თითოეულ კომპონენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს, რაც წარმოადგენდა პროგრამის პირველადი აკრედიტაციის რეკომენდაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ხარისხის შეფასების რეგულაცია ● ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან ● შრომის ბაზრის კვლევა ● შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში
რეკომენდაციები:--
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება	X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნოდარ ხერხეულიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება	X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: